დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11.03.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი **ინგა**

გვარი **ბოჭოიძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ქიმია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მერვე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	ქიმია - 0531
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	50
9	განხორციელების ადგილი[5]	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, #694531, 09/07/2021
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 25 ივნისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2021 წლის 27 დეკემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 26 ივნისი

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენის კომპეტენციასთან მიმართებით და განისაზღვროს ის ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურების პირობით;

2. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის "სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები" სტატუსი;

3. გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან. მათ შორის, დაკონკრეტდეს „დოქტორანტის სემინარი 1" და „დოქტორანტის სემინარი 2" სწავლის შედეგები;

4. რეკომენდირებულია, გასწორდეს გადაფარვები სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამის კომპეტენციებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ - ივანე ჯავახიშვიის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის" სადოქტორო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა, აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივლისის #694531 გადაწყვეტილებით. გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად დაწესებულებას განესაზღვრა 6-თვიანი ვადა, 2021 წლის 27 დეკემბრამდე. 2021 წლის აგვისტოდან პროგრამის განვითარების და ხელშეწყობის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და შექმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფმა გამართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ერთად იმსჯელა და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. განახლებული პროგრამა დამტკიცდა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში და დოკუმენტები მოიცავს ინფორმაციას და მტკიცებულებებს გაცემულ ოთხ რეკომენდაციასთან და ერთ რჩევასთან დაკავშირებით.

პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა 6-თვიან პერიოდში შეასრულა მნიშვნელოვანი სამუშაო და გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. სრულადაა შესრულებული სამი რეკომენდაცია, ხოლო მეტწილად ერთი რეკომენდაცია. დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევა.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა პროგრამის მიზნებში აკადემიური პერსონალის მომზადებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[9]

სტანდარტის დასახელება[10]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[11]	1.1 პროგრამის მიზნები
რჩევა 1	სასურველია, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა პროგრამის მიზნებში აკადემიური პერსონალის მომზადებასთან დაკავშირებით.
შეფასება	**რჩევა გათვალისწინებულია**. გასწორდა ტექნიკური შეცდომა პროგრამის მიზნებში და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: *მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება კვლევითი და აკადემიური საქმიანობისთვის ზოგადი, არაორგანული, მეტალორგანული, ორგანული, ბუნებრივ ნაერთთა, ფიზიკური, ანალიზური, გარემოს, მაკრომოლეკულების, ბიოორგანული და კოლოიდური ქიმიის სფეროებში, რომელთაც ექნებათ ამოცანის მიმართ შემოქმედებითი მიდგომა და შეძლებენ მნიშვნელოვანი სამეცნიერო და გამოყენებითი პრობლემების გადაჭრას.*
მტკიცებულებ(ები)ა	• სადოქტორო პროგრამა „ქიმია“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია 1	დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენის კომპეტენციასთან მიმართებით და განისაზღვროს ის ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურების პირობით.

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[10] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[11] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია.** შეიცვალა და დაზუსტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონეზე დადასტურების პირობით.
მტკიცებულებ(ები)ა	• სადოქტორო პროგრამა „ქიმია“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია 2	რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის ”სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები” სტატუსი.
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია.** განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სასწავლო კურსი ”სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები” გახდა სავალდებულო. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა პროგრამის სტრუქტურაში, სასწავლო კურსის სილაბუსში და სწავლის შედეგების რუკაში.
მტკიცებულებ(ები)ა	• სადოქტორო პროგრამა „ქიმია“; • სწავლის შედეგების რუკა; • სასწავლო კურსის „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები” სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია 3	გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან. მათ შორის, დაკონკრეტდეს „დოქტორანტის სემინარი 1“ და „დოქტორანტის სემინარი 2“ სწავლის შედეგები.
შეფასება	**რეკომენდაცია გათვალისწინებულია.** პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადაამუშავა „დოქტორანტის სემინარი 1“ და „დოქტორანტის სემინარი 2“ სილაბუსები, დააკონკრეტა ორივე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები.
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსების „დოქტორანტის სემინარი 1“ და „დოქტორანტის სემინარი 2“ სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია 4	რეკომენდირებულია, გასწორდეს გადაფარვები სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამის კომპეტენციებში.
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად.** გადამუშავდა სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლის შედეგებთან მიმართებით. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ე. წ. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების განახლების შესახებ, სადაც გასაუმჯობესებელი იყო სწავლის შედეგების ფორმირების საკითხი.
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები.

თანდართული დოკუმენტაცია

1. სადოქტორო პროგრამა „ქიმია“ და სილაბუსები;

2. სადოქტორო პროგრამის შედეგების რუკა.

ექსპერტის ხელმოწერა